სარჩევი

„ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 26 დეკემბრის №18 ბრძანება....2

„ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის №11 ბრძანება 5

„სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 15 დეკემბრის №12 ბრძანება.....11

„A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 20 მარტი №2 ბრძანება 15

„საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 ოქტომბრის №14 ბრძანება 19

„ვიდეოსამეთვალყურეო კამერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 30 მარტის №8 ბრძანება....23

„უწყვეტი კვების წყაროების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 30 მარტის №9 ბრძანება 27

„სხვადასხვა სახის პრინტერებისა და კარტრიჯების კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 11 აპრილის №10 ბრძანება....31

„სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) შესყიდვის მიზნით კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 12 ივლისის №32 ბრძანება 35

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №18

2012 წლის 26 დეკემბერი

ქ. თბილისი

ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

1. დამტკიცდეს თანდართული ,,ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კონკურენციისა და სახელმწიფო
შესყიდვების სააგენტოს **ტატო ურჯუმელაშვილი**
თავმჯდომარე

ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) 20^2 მუხლის საფუძველზე და განსაზღვრავს GSM სტანდარტის ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის (შემდგომში – კონსოლიდირებული ტენდერი) ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, წესსა და პირობებს, ასევე კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. ეს წესი ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ GSM სტანდარტის ფიჭური სატელეფონო მომსახურების (შემდგომში – მობილური კავშირი) სახელმწიფო შესყიდვაზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მობილური კავშირის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, გარდა კანონმდებლობითა და სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა და უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების, აგრეთვე თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მიერ ფიჭური მობილური კავშირის სახელმწიფო შესყიდვაზე.

4. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა და ამ მიზნებისათვის ქმნის სატენდერო კომისიას.

5. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში, თუ კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 17 იანვრის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 17.01.2014 წ.

მუხლი 2. ინტერესთა კონფლიქტი

სატენდერო წინადადების განხილვასა და კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენაზე ვრცელდება კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული დებულებები.

მუხლი 3. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარება

1. კონსოლიდირებული ტენდერი ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში – სისტემა) მეშვეობით.
2. კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავებას და მისი სისტემაში განთავსებას უზრუნველყოფს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

3. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის საჭირო ორგანიზაციული პროცედურების განხორციელებას უზრუნველყოფს სააგენტო.

4. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენა ხდება სატენდერო კომისიის მიერ.

5. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესყიდვის პროცედურების საჯაროობა და გამჭვირვალობა, შესყიდვის მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული და თანასწორი მოპყრობა.

6. სატენდერო წინადადების შეფასება და გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენა ხდება ამ წესისა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 15 ივნისის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 16.06..2017 წ.

მუხლი 4. სატენდერო მოთხოვნები და სატენდერო დოკუმენტაცია

1. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ სისტემაში მიმწოდებლად რეგისტრირებულ მომხმარებელს, რომელსაც გადახდილი აქვს კანონის 19[1] მუხლით დადგენილი სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური (შემდგომში – საფასური) – 5000 ლარი.
2.კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობები, გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენის პრინციპები, სატენდერო წინადადების წარდგენის ვადა, აგრეთვე კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის აუცილებელი სხვა მოთხოვნები და საკითხები განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 17 იანვრის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 17.01.2014 წ.

მუხლი 5. სატენდერო წინადადების წარდგენა

1. (ამოღებულია - 17.01.14 №1).
2. სატენდერო წინადადების წარდგენით მიმწოდებელი ავტომატურად ეთანხმება ამ წესითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით.

4. კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებელი კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით კისრულობს ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით გადაიხადოს მისგან შესასყიდი მობილური კავშირის საორიენტაციო ღირებულების 5%-ის ოდენობის თანხა იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს განაცხადებს მობილური კავშირის მიწოდებაზე სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციისათვის. ჯარიმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადით.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 17 იანვრის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 17.01.2014 წ.

მუხლი 6. გამარჯვებული მომწოდებელის გამოვლენა

1. კონსოლიდირებული ტენდერი ტარდება და გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენა ხდება სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობის, სატენდერო დოკუმენტაციისა და ამ წესის შესაბამისად, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.
2. კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული სატენდერო კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება

აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს სატენდერო კომისიის სხდომის ყველა დამსწრე წევრი. სისტემაში ატვირთვის მიზნით, შესაძლებელია სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (მაგ. ელ. ფოსტა) შეთანხმდეს სატენდერო კომისიის წევრებთან.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 17 აპრილის ბრძანება №9 - ვებგვერდი, 18.04.2013 წ.

მუხლი 7. გამარჯვებულ მიმწოდებელთან ხელშეკრულების დადება

1. კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულმა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა მობილური კავშირის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება (შემდგომში – ხელშეკრულება) უნდა დადონ მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ მიმწოდებელთან, გარდა ამ მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
2. გამარჯვებული მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულება დადოს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ ნებისმიერ შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

3. შემსყიდველი ორგანიზაცია სხვა მიმწოდებლისაგან მობილური კავშირის შესყიდვაზე თანხმობის მიღების მიზნით, მიმართავს სატენდერო კომისიას შესაბამისი დასაბუთებით. სატენდერო კომისიის თანხმობის შემთხვევაში, მობილური კავშირის შესყიდვა ხორციელდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

5. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგად გამარჯვებულ მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) მობილური კავშირის საორიენტაციო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

6. (ამოღებულია - 17.01.14 №1).

7. სატენდერო კომისიის სახელზე კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული შეტყობინებები უნდა გაიგზავნოს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 17 იანვრის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 17.01.2014 წ.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

1. ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2013 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენის შემდეგ, ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2013 წლის კონსოლიდირებულ ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებული არიან შეწყვიტონ მოქმედი ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები და ასეთი ხელშეკრულებები დადონ ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2013 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელთან.
2. იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება ითვალისწინებს ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2013 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლზე უკეთეს პირობებს, მოქმედი ხელშეკრულების გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხს წყვეტს ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2013 წლის კონსოლიდირებულ ტენდერის სატენდერო კომისია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №11
2014 წლის 4 დეკემბერი

ქ. თბილისი

ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები“.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის №25 ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 4 დეკემბრიდან.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი **ზაზა ნანობაშვილი**

ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) 20^2 მუხლის საფუძველზე და განსაზღვრავს ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (შემდგომში – კონსოლიდირებული ტენდერი) ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, წესსა და პირობებს, ასევე კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. ეს წესი ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) რეგისტრირებული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით ნავთობპროდუქციის (საწვავის) (შემდგომში – საწვავი) სახელმწიფო შესყიდვაზე.

3. საწვავის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა და უცხო ქვეყანაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, თავდაცვის ატაშეს, აგრეთვე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ საწვავის შესყიდვისა.

4. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა და ამ მიზნებისათვის ქმნის სატენდერო კომისიას.

5. სატენდერო კომისიის მიერ სხდომაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელიც შესაძლებელია შეთანხმდეს, როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური ფორმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა დამსწრე წევრი. კომისიის წევრთა ხელმოწერა არ არის სავალდებულო იმ შემთხვევაში, თუ ოქმი თანხმდება ელექტრონული ფორმით.

6. სატენდერო კომისიასთან მიმოწერა კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, რომელიც არ საჭიროებს კომისიის სხდომის მოწვევას, შესაძლებელია განხორციელდეს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. აღნიშნული კორესპონდენცია წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს.

7. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში, თუ კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №23 - ვებგვერდი, 04.12.2015 წ.

მუხლი 2. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარება

1. კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის სისტემაში განთავსებასა და კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებას უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

2. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის საჭირო ორგანიზაციული პროცედურების განხორციელებას უზრუნველყოფს სააგენტო.

3. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის კრიტერიუმები, სატენდერო წინადადების წარდგენის ვადა, აგრეთვე კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის აუცილებელი სხვა მოთხოვნები და საკითხები განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

4. კონსოლიდირებული ტენდერი ტარდება სისტემის მეშვეობით და ელექტრონული ვაჭრობა იმართება 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის ფასზე.

5. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესყიდვის პროცედურების საჯაროობა და გამჭვირვალობა, შესყიდვის მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული და თანასწორი მოპყრობა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 15 ივნისის ბრძანება №15 - ვებგვერდი, 16.06..2017 წ.

მუხლი 3. სატენდერო წინადადების წარდგენა

1. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ მომხმარებელს, რომელსაც გადახდილი აქვს კანონის 19^1 მუხლით დადგენილი სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური (შემდგომში – საფასური).

2. სატენდერო წინადადების წარდგენით მიმწოდებელი ავტომატურად ეთანხმება ამ წესითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით.

მუხლი 4. გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა

1. კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადება ფასდება და გამარჯვებული პრეტენდენტი ვლინდება სატენდერო კომისიის მიერ, ამ წესის, სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი კრიტერიუმებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

2. სატენდერო წინადადების შეფასებისას და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენისას დაცული უნდა იყოს ამ წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული პრინციპები.

3. სატენდერო წინადადების განხილვასა და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენაზე ვრცელდება კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული დებულებები.

4. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირებს ყველაზე დაბალ ფასს და, ამასთან, დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ თანაბარი უმცირესი ფასის დაფიქსირების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა აღნიშნული ფასი.

5. კონსოლიდირებულ ტენდერში პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ან/და სხვა დოკუმენტაციის სატენდერო განცხადებასთან ან/და სატენდერო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო კომისია მიიჩნევს, რომ მითითებულ დოკუმენტებში არსებული

ინფორმაციის გათვალისწინებით მიზანშეწონილი არ არის აღნიშნულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადება, პრეტენდენტი დაექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

მუხლი 5.გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადება

1. ხელშეკრულება უნდა დაიდოს კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ პრეტენდენტთან, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა. ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

2. გამარჯვებული პრეტენდენტი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულება დადოს სისტემაში რეგისტრირებულ ნებისმიერ შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე გამარჯვებულ პრეტენდენტს მიმართოს წერილობითი ფორმით. თავის მხრივ, გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვიდან არაუგვიანეს თხუთმეტი სამუშაო დღის ვადაში, გააფორმოს მასთან ხელშეკრულება ან არგუმენტირებული წერილობითი უარი განაცხადოს ხელშეკრულების გაფორმებაზე.

4. კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, პრეტენდენტი კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით კისრულობს ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით გადაიხადოს კონსოლიდირებულად შესასყიდი შესაბამისი მარკის საწვავის ჯამური საორიენტაციო ღირებულების 1%-ის ოდენობის თანხა იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს განაცხადებს შესაბამისი მარკის საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე ერთ ან რამდენიმე შემსყიდველ ორგანიზაციასთან. ჯარიმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ვადით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სატენდერო კომისიას უფლება აქვს მიიღოს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში სატენდერო კომისია მსჯელობს ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების მიზანშეწონილობის საკითხზე და მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით.

6. სახელმწიფო შესყიდვისთვის განკუთვნილი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაცია, უფლებამოსილია სატენდერო კომისიის თანხმობის საფუძველზე, კონკრეტული შესყიდვის აუცილებლობისთვის საჭირო მოცულობის შესაბამისი მარკის საწვავი შეისყიდოს სხვა პირისგან (რომელიც, ბაზრის კვლევის შედეგად, შესთავაზებს მას ყველაზე დაბალ ფასს), თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

ა) შემსყიდველი ორგანიზაცია გამარჯვებული პრეტენდენტის ავტოგასამართი სადგურიდან დაშორებულია 15 კმ-ზე მეტი მანძილით;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი მარკის საწვავის ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტისგან შესყიდვა გამოიწვევს უფრო მეტ დანახარჯს, ვიდრე ამ საწვავის სხვა პირისგან შესყიდვა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №23 - ვებგვერდი, 04.12.2015 წ.

მუხლი 6. საწვავის ფასის განსაზღვრა და ანგარიშსწორების პირობები

1. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებული ყველაზე დაბალი საბოლოო ფასიდან გამოითვლება Z აშშ დოლარში (ტრანსპორტირებასთან, ლოგისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები და საწარმოს მოგება) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

,

სადაც ცვლადების აღნიშვნა შემოღებულია შემდეგნაირად:

C_{bid} – ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი 1 ლიტრ შესაბამისი მარკის საწვავზე

(ლარში);

R_{nov} – აშშ დოლართან მიმართებით ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დამთავრების წინა თვის საშუალო არითმეტიკული;

D – მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი შესაბამისი მარკის საწვავის სიმკვრივის მაჩვენებელი (გრ/სმ^3);

P^{nov} – PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) შესაბამისი მარკის საწვავის ერთი მეტრული ტონის კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დამთავრების წინა თვის საშუალო არითმეტიკული ფასი აშშ დოლარში (შემდგომში – პლაცის ნიშნული);

A_{nov} – კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დამთავრების წინა თვეში ერთ მეტრულ ტონა შესაბამისი მარკის საწვავზე აქციზის ოდენობა ლარებში.

Z და D სიდიდეები უცვლელია სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი ვადით.

(ამოქმედდეს 2016 წლის 2 დეკემბრიდან და მისი მოქმედება არ გავრცელდეს ნავთობპროდუქციის (საწვავის) 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების შედეგად წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე).

2. მიმწოდებელი ყოველი მიმდინარე კალენდარული თვისათვის განსაზღვრავს 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის ნომინალურ ღირებულებას (შემდგომში – ნომინალური ღირებულება – Cnom) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

,

სადაც: P და R წარმოადგენს ყოველი მიმდინარე თვის წინა კალენდარული თვის შესაბამისი მონაცემების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეებს, A – მიმდინარე თვისთვის მოქმედ ერთ მეტრულ ტონა შესაბამისი მარკის საწვავზე აქციზის ოდენობას ლარებში, 18% – დღგ, ხოლო Z და D – ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გამარჯვებული სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უცვლელ სიდიდეებს.

(ამოქმედდეს 2016 წლის 2 დეკემბრიდან და მისი მოქმედება არ გავრცელდეს ნავთობპროდუქციის (საწვავის) 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების შედეგად წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე).

3. ნავთობპროდუქციის (საწვავის) ფასის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მისი ღირებულების საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე არსებულ ცვალებად ფასზე (P), აშშ დოლართან მიმართებით ეროვნული ვალუტის ოფიციალურ გაცვლით კურსზე (R) ან/და ერთ მეტრულ ტონა საწვავზე აქციზის ოდენობაზე დამოკიდებულების გამო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას ყოველთვიურად წარუდგინოს ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილი მიმდინარე თვის განმავლობაში მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ფასი (მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი – C_1).

(ამოქმედდეს 2016 წლის 2 დეკემბრიდან და მისი მოქმედება არ გავრცელდეს ნავთობპროდუქციის (საწვავის) 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების შედეგად წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე).

4. გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის პირველი თვის სახელშეკრულებო ფასი განისაზღვრება ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის საბოლოო ფასის (C_{bid}) ტოლი სიდიდით. ყოველი მომდევნო თვის სახელშეკრულებო ფასი კი განისაზღვრება 1 ლ. საწვავის ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით. მიმწოდებელი, ითვალისწინებს პლაცის ნიშნულისა და სავალუტო კურსის ცვალებადობას და ყოველი კალენდარული თვის პირველ რიცხვში, განსაზღვრავს 1 ლიტრი საწვავის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასს შემდეგი პრინციპის მიხედვით: იმ შემთხვევაში, თუ P-სა და R-ის ცვლილება იწვევს ფორმულით გაანგარიშებული 1 ლიტრი საწვავის ნომინალური ღირებულების (C_{nom}) სამზე ნაკლები პროცენტული ოდენობით ცვლილებას წინა თვის სახელშეკრულებო ფასთან მიმართებაში, მაშინ მიმდინარე

თვის სახელშეკრულებო ფასი უდრის წინა თვის სახელშეკრულებო ფასს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ P-სა და R-ის ცვლილება იწვევს ფორმულით გაანგარიშებული 1 ლიტრი საწვავის ნომინალური ღირებულების (C_{nom}) სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას წინა თვის სახელშეკრულებო ფასთან მიმართებაში, მაშინ მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი უტოლდება ფორმულით გაანგარიშებული მიმდინარე თვის ნომინალურ ფასს.

5. მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის ანგარიშსწორება ხორციელდება მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასის საფუძველზე დადგენილი საანგარიშსწორებო ფასის (C_2) მიხედვით, უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

6. საანგარიშსწორებო ფასის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები:

ა) საბარათე სისტემის ან/და ისეთი სისტემის მეშვეობით საწვავის შესყიდვის შემთხვევაში, რომელიც ფიზიკურად უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტისა და ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებასა და იდენტიფიცირებას, რის შედეგადაც უზრუნველყოფს მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურზე საწვავის ჩასხმას მხოლოდ ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში (შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე მყოფი ავტომანქანა, რომელიც აღჭურვილია ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემის – აგაის კომპონენტებით), მიმწოდებელი ყოველთვიურად წარუდგენს შემსყიდველ ორგანიზაციას საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას მიმდინარე თვის განმავლობაში მიწოდებულ საწვავზე, თვის ბოლოს. ასეთი შესყიდვის შემთხვევაში, საანგარიშსწორებო ფასის განსაზღვრისას, მხარეები ითვალისწინებენ შემდეგ გარემოებას: საანგარიშსწორებო ფასი უნდა იყოს მიმდინარე თვის განმავლობაში მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული ერთი ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის ფასების საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე (C_{AV}) სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი ოდენობით ნაკლები;

ბ) არასაბარათე სისტემით საწვავის შესყიდვისას, საწვავის გატანის დღეს, მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს ერთჯერადად გასატანი შესაბამისი მარკის საწვავის მიხედვით გამოწერილ ანგარიშ-ფაქტურას. საანგარიშსწორებო ფასი გამოითვლება ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით განსაზღვრული საანგარიშსწორებო ფასის მიხედვით, რომელიც უნდა იყოს საწვავის მოთხოვნის დღისათვის მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებულ ფასზე სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი ოდენობით ნაკლები.

7. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. არასაბარათე, საბარათე ან აგაი სისტემის მეშვეობით შესაბამისი მარკის საწვავის მიწოდებისას ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში.

8. მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს სატენდერო კომისიას წარუდგინოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული P და R და მათ საფუძველზე გამოთვლილი 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი (C_1), რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განთავსდეს მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

9. მიმწოდებელმა ოფიციალურ ვებგვერდზე ასევე უნდა განათავსოს ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის ყოველდღიური ფასის შესახებ იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაში თითოეული დღის ფასის ნახვა. მიმწოდებელმა ასევე ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში უნდა მიაწოდოს სატენდერო კომისიას ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის ყოველდღიური ფასის შესახებ, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

10. მიმწოდებელი პასუხისმგებელია საწვავის ფასთან დაკავშირებით წარმოდგენილი, ასევე მის ვებგვერდზე განთავსებული ნებისმიერი ინფორმაციის სისწორეზე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №23 - ვებგვერდი, 04.12.2015 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 2 დეკემბრის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 02.12.2016 წ.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეუსრულებლობა

1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

2. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში,

შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დასრულების დღეს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის ფასისა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის სხვაობის გამრავლებით კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) შესაბამისი მარკის საწვავის საორიენტაციო მოცულობაზე და გაყოფილი ხელშეკრულების მოქმედების ამოწურვამდე დარჩენილი თვეების რაოდენობაზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიას უფლება აქვს, მიიღოს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში სატენდერო კომისია მსჯელობს ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების მიზანშეწონილობის საკითხზე და მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №23 - ვებგვერდი, 04.12.2015 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №12
2014 წლის 15 დეკემბერი

ქ. თბილისი

სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული „სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები“.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 7 მარტის №8 ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 15 დეკემბრიდან.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარე **ლევან რაზმაძე**

სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) 20^2 მუხლის საფუძველზე და განსაზღვრავს სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის (შემდგომში – კონსოლიდირებული ტენდერი) ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, წესსა და პირობებს, ასევე კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. ეს წესი ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების (შემდგომში – სტანდარტული კომპიუტერი) სახელმწიფო შესყიდვაზე.

3. იმ შემსყიდველ ორგანიზაციას, რომელზეც სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით სავალდებულოდ არ ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, სტანდარტული კომპიუტერის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულება) დადების მიზნით შეუძლია მიმართოს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს. ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, მათზე სრულად გავრცელდება ამ წესითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი მოთხოვნები.

4. იმ შემსყიდველი ორგანიზაციების წრე, რომელთათვისაც სავალდებულოა კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით. ამ შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სტანდარტული კომპიუტერის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტისაგან, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა და უცხო ქვეყანაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, თავდაცვის ატაშეს, აგრეთვე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ სტანდარტული

კომპიუტერის შესყიდვისა.

5. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა და ამ მიზნებისათვის ქმნის სატენდერო კომისიას.

6. სატენდერო კომისიის მიერ სხდომაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელიც შესაძლებელია შეთანხმდეს, როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური ფორმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა დამსწრე წევრი. კომისიის წევრთა ხელმოწერა არ არის სავალდებულო იმ შემთხვევაში, თუ ოქმი თანხმდება ელექტრონული ფორმით.

7. სატენდერო კომისიასთან მიმოწერა კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე შესაძლებელია განხორციელდეს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. აღნიშნული კორესპონდენცია წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტებს.

8. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში, თუ კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 9 დეკემბრის ბრძანება №25 - ვებგვერდი, 09.12..2015 წ.

მუხლი 2. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარება

1. კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის სისტემაში განთავსებასა და კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებას უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

2. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის საჭირო ორგანიზაციული პროცედურების განხორციელებას უზრუნველყოფს სააგენტო.

3. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის კრიტერიუმები, სატენდერო წინადადების წარდგენის ვადა, აგრეთვე კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის აუცილებელი სხვა მოთხოვნები და საკითხები განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

4. კონსოლიდირებული ტენდერი ტარდება სისტემის მეშვეობით და ელექტრონული ვაჭრობა იმართება სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი სტანდარტული კომპიუტერის ერთეულის ფასზე.

5. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესყიდვის პროცედურების საჯაროობა და გამჭვირვალობა, შესყიდვის მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული და თანასწორი მოპყრობა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 15 ივნისის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 16.06..2017 წ.

მუხლი 3. სატენდერო წინადადების წარდგენა

1. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ მომხმარებელს, რომელსაც გადახდილი აქვს კანონის 19^1 მუხლით დადგენილი სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური (შემდგომში – საფასური).

2. სატენდერო წინადადების წარდგენით მიმწოდებელი ავტომატურად ეთანხმება ამ წესითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით.

მუხლი 4. გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა

1. კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადება ფასდება და გამარჯვებული პრეტენდენტი ვლინდება სატენდერო კომისიის მიერ, ამ წესის, სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი კრიტერიუმებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

2. სატენდერო წინადადების შეფასებისას და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენისას დაცული უნდა იყოს ამ წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული პრინციპები.

3. სატენდერო წინადადების განხილვასა და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენაზე ვრცელდება კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული დებულებები.

4. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირებს ყველაზე დაბალ ფასს და, ამასთან, დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ თანაბარი უმცირესი ფასის დაფიქსირების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა აღნიშნული ფასი.

5. კონსოლიდირებულ ტენდერში პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ან/და სხვა დოკუმენტაციის სატენდერო განცხადებასთან ან/და სატენდერო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

6. იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო კომისია მიიჩნევს, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით მიზანშეწონილი არ არის აღნიშნულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადება, სატენდერო კომისიას უფლება აქვს, უარი თქვას აღნიშნულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებაზე.

7. კონსოლიდირებული ტენდერიდან გამარჯვებული პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე მიმწოდებლის წინადადების ფასი მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული მიმწოდებლის წინადადების ფასს, ასევე სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს კონსოლიდირებული ტენდერი.

მუხლი 5. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადება

1. ხელშეკრულება უნდა დაიდოს კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ პრეტენდენტთან, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევისა.

2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტანდარტული კომპიუტერის მიწოდების ვადა სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას შესაძლებელია აღემატებოდეს არაუმეტეს ათი სამუშაო დღით.

3. გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია, ხელშეკრულება დადოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ნებისმიერ შემსყიდველ ორგანიზაციასთან, რომელზეც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება და რომელიც მიმართავს მას ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნით.

4. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე გამარჯვებულ პრეტენდენტს მიმართოს წერილობითი ფორმით. თავის მხრივ, გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვიდან არაუგვიანეს თხუთმეტი სამუშაო დღის ვადაში, გააფორმოს მასთან ხელშეკრულება ან არგუმენტირებული წერილობითი უარი განაცხადოს ხელშეკრულების გაფორმებაზე.

5. ობიექტური გარემოებების არსებობისას, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ის შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელზეც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, სხვა მიმწოდებლისაგან სტანდარტული კომპიუტერის შესყიდვაზე თანხმობის მიღების მიზნით, მიმართავს სატენდერო კომისიას შესაბამისი დასაბუთებით. სატენდერო კომისიის თანხმობის შემთხვევაში, სტანდარტული კომპიუტერის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, პრეტენდენტი კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით კისრულობს ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით გადაიხადოს კონსოლიდირებულად შესასყიდი სტანდარტული კომპიუტერის ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობის თანხა იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს განაცხადებს სტანდარტული კომპიუტერის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ ერთ ან რამდენიმე შემსყიდველ ორგანიზაციასთან, რომელზეც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება. ჯარიმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ვადით.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიას უფლება აქვს, მიიღოს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მსჯელობს ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ან შესყიდვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხზე და მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 9 დეკემბრის ბრძანება №25 - ვებგვერდი, 09.12..2015 წ.

მუხლი 6. ანგარიშსწორების პირობები

1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, სტანდარტული კომპიუტერის მიწოდებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მოაწეროს ხელი მიღება-ჩაბარების აქტს ან უარი თქვას მის ხელმოწერაზე. ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, აღნიშნული დასაბუთებულ უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ.

2. სტანდარტული კომპიუტერის მიწოდების გეოგრაფიულ არეალთან, ტრანსპორტირების ხარჯებსა და ტექნიკურ მხარდაჭერასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით.

3. სატენდერო კომისია, ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით, სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პერიოდულობით, უფლებამოსილია, გადახედოს მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული სტანდარტული კომპიუტერის ფასს და ბაზარზე შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, შესთავაზოს მიმწოდებელს ერთეულის ფასის ცვლილება. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ დაეთანხმება სატენდერო კომისიის მიერ შემოთავაზებულ ახალ გონივრულ ფასს, აღნიშნული გამოიწვევს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტას მიმწოდებლის მიმართ რაიმე სანქციის გამოყენების გარეშე.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეუსრულებლობა

1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

2. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) სტანდარტული კომპიუტერის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიას უფლება აქვს, მიიღოს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მსჯელობს ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ან შესყიდვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხზე და მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 9 დეკემბრის ბრძანება №25 - ვებგვერდი, 09.12..2015 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №2
2015 წლის 20 მარტი

ქ. თბილისი

A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული „A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები“.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 23 იანვრის №3 ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 20 მარტიდან.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარე **ლევან რაზმაძე**

A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები (შემდგომში – წესი)“ შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) 20^2 მუხლის საფუძველზე და განსაზღვრავს A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის (შემდგომში – კონსოლიდირებული ტენდერი) ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, წესსა და პირობებს, ასევე კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. ეს წესი ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის (შემდგომში – საბეჭდი ქაღალდის) სახელმწიფო შესყიდვაზე.

3. იმ შემსყიდველი ორგანიზაციების წრე, რომელთათვისაც სავალდებულოა კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით. ამ შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტისაგან, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა და უცხო ქვეყანაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, თავდაცვის ატაშეს, აგრეთვე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ საბეჭდი ქაღალდის შესყიდვისა.

4. იმ შემსყიდველ ორგანიზაციებს, რომლებზეც სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით სავალდებულოდ არ ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულება) დადების მიზნით შეუძლიათ მიმართონ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს სატენდერო კომისიასთან შეთანხმების გარეშე. ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, მათზე სრულად გავრცელდება ამ წესითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი მოთხოვნები.

5. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა და ამ

მიზნებისათვის ქმნის სატენდერო კომისიას.

6. სატენდერო კომისიის მიერ სხდომაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელიც შესაძლებელია შეთანხმდეს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური ფორმით. მატერიალური ფორმით შედგენილ ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა დამსწრე წევრი. კომისიის წევრთა ხელმოწერა არ არის სავალდებულო იმ შემთხვევაში, თუ ოქმი თანხმდება ელექტრონული ფორმით. გადაწყვეტილება მიიღება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე წევრთა უმრავლესობის მიერ.

7. სატენდერო კომისიასთან მიმოწერა კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე შესაძლებელია განხორციელდეს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. აღნიშნული კორესპონდენცია წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტებს.

8. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში, თუ კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათაგან გამომდინარე ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 9 დეკემბრის ბრძანება №24 - ვებგვერდი, 09.12..2015 წ.

მუხლი 2. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარება

1. კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) განთავსებასა და კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებას უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

2. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის საჭირო ორგანიზაციული პროცედურების განხორციელებას უზრუნველყოფს სააგენტო.

3. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობები, სატენდერო წინადადების წარდგენის ვადა, აგრეთვე კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის აუცილებელი სხვა მოთხოვნები და პირობები განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

4. კონსოლიდირებული ტენდერი ტარდება სისტემის მეშვეობით და ელექტრონული ვაჭრობა იმართება სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი საბეჭდი ქაღალდის ერთეულის ფასზე.

5. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესყიდვის პროცედურების საჯაროობა და გამჭვირვალობა, შესყიდვის მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული და თანასწორი მოპყრობა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 15 ივნისის ბრძანება №13 - ვებგვერდი, 16.06..2017 წ.

მუხლი 3. სატენდერო წინადადების წარდგენა

1. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ მომხმარებელს, რომელსაც გადახდილი აქვს კანონის 19^1 მუხლის შესაბამისად დადგენილი სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური (შემდგომში – საფასური).

2. სატენდერო წინადადების წარდგენით მიმწოდებელი ავტომატურად ეთანხმება ამ წესითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით.

მუხლი 4. გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა

1. კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების ფასდება და გამარჯვებული პრეტენდენტი ვლინდება სატენდერო კომისიის მიერ ამ წესის, სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

2. სატენდერო წინადადების შეფასებისას და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენისას დაცული უნდა იყოს ამ წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული პრინციპები.

3. სატენდერო წინადადების განხილვასა და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენაზე ვრცელდება კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული დებულებები.

4. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც ვაჭრობის შედეგად

დააფიქსირებს ყველაზე დაბალ ფასს და, ამასთან, დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ თანაბარი უმცირესი ფასის დაფიქსირების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა აღნიშნული ფასი.

5. კონსოლიდირებულ ტენდერში პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების სატენდერო განცხადებასთან ან/და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

6. იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო კომისია მიიჩნევს, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით მიზანშეწონილი არ არის აღნიშნულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადება, სატენდერო კომისიას უფლება აქვს, უარი თქვას აღნიშნულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებაზე.

7. კონსოლიდირებული ტენდერიდან ელექტრონულ ვაჭრობაში გამარჯვებული პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ფასი მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის წინადადების ფასს, ასევე სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს კონსოლიდირებული ტენდერი.

მუხლი 5. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადება

1. ხელშეკრულება უნდა დაიდოს კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ პრეტენდენტთან, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევისა.
2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბეჭდი ქაღალდის მიწოდების ვადა სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას შესაძლებელია აღემატებოდეს არაუმეტეს ათი სამუშაო დღით.
3. გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია, ხელშეკრულება დადოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ნებისმიერ შემსყიდველ ორგანიზაციასთან, რომელზეც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება და რომელიც მიმართავს მას ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნით.
4. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე გამარჯვებულ პრეტენდენტს მიმართოს წერილობითი ფორმით. თავის მხრივ, გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვიდან არაუგვიანეს თხუთმეტი სამუშაო დღის ვადაში, გააფორმოს მასთან ხელშეკრულება ან არგუმენტირებული წერილობითი უარი განაცხადოს ხელშეკრულების გაფორმებაზე.
5. ობიექტური გარემოებების არსებობისას, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ის შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელზეც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, სხვა მიმწოდებლისაგან საბეჭდი ქაღალდის შესყიდვაზე თანხმობის მიღების მიზნით, მიმართავს სატენდერო კომისიას შესაბამისი დასაბუთებით. სატენდერო კომისიის თანხმობის შემთხვევაში, საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, პრეტენდენტი კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით კისრულობს ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით გადაიხადოს კონსოლიდირებულად შესასყიდი საბეჭდი ქაღალდის ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობის თანხა იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს განაცხადებს საბეჭდი ქაღალდის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ ერთ ან რამდენიმე შემსყიდველ ორგანიზაციასთან, რომელზეც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება. ჯარიმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ვადით.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიას უფლება აქვს, მიიღოს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მსჯელობს ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ან შესყიდვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხზე და მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 9 დეკემბრის ბრძანება №24 - ვებგვერდი, 09.12..2015 წ.

მუხლი 6. ანგარიშსწორების პირობები

1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია,

მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

2. საბეჭდი ქაღალდის მიწოდების გეოგრაფიულ არეალთან, ტრანსპორტირების ხარჯებსა და მიწოდების პერიოდულობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით.

3. სატენდერო კომისია, ბაზრის კონიუქტურის გათვალისწინებით, უფლებამოსილია, გადახედოს მიმწოდებლის მიერ საბეჭდი ქაღალდის შემოთავაზებულ ფასს და ბაზარზე შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, განიხილოს მისაწოდებელი საბეჭდი ქაღალდის ერთეულის ფასის ცვლილება. მიმწოდებელსა და სატენდერო კომისიას შორის შეთანხმების მიუღწევლობა იწვევს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტას. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიმართ სანქციის გამოყენების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია. სანქციის ოდენობა და გამოყენების წესი განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეუსრულებლობა

1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

2. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბეჭდი ქაღალდის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიას უფლება აქვს, მიიღოს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მსჯელობს ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ან შესყიდვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხზე და მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია და იმავდროულად მსჯელობს ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ან შესყიდვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობაზე. აღნიშნულის თაობაზე იგი მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 9 დეკემბრის ბრძანება №24 - ვებგვერდი, 09.12..2015 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №14
2015 წლის 21 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 20^2 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული „საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები“.

2. ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 22 ოქტომბრიდან.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი **ზაზა ნანობაშვილი**

საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) 20^2 მუხლის საფუძველზე და განსაზღვრავს საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის (შემდგომში – კონსოლიდირებული ტენდერი) ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, წესსა და პირობებს, ასევე კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულება) დადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. ეს წესი ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ საბურავების სახელმწიფო შესყიდვაზე.

3. იმ შემსყიდველი ორგანიზაციების წრე, რომელთათვისაც სავალდებულოა კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით. აღნიშნული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ საბურავების სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტისაგან, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა და უცხო ქვეყანაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, თავდაცვის ატაშეს, აგრეთვე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ საბურავის შესყიდვის შემთხვევებისა.

4. იმ შემსყიდველ ორგანიზაციებს, რომლებზეც სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით სავალდებულოდ არ ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, საბურავების ხელშეკრულების დადების მიზნით შეუძლიათ მიმართონ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს სატენდერო კომისიასთან შეთანხმების გარეშე. ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, მათზე სრულად გავრცელდება ამ წესითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი

მოთხოვნები.

5. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა და ამ მიზნებისათვის ქმნის სატენდერო კომისიას.

6. სატენდერო კომისიის მიერ სხდომაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელიც შესაძლებელია შეთანხმდეს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური ფორმით. მატერიალური ფორმით შედგენილ ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა დამსწრე წევრი. კომისიის წევრთა ხელმოწერა არ არის სავალდებულო იმ შემთხვევაში, თუ ოქმი თანხმდება ელექტრონული ფორმით. გადაწყვეტილება მიიღება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე წევრთა უმრავლესობის მიერ.

7. სატენდერო კომისიასთან მიმოწერა კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე შესაძლებელია განხორციელდეს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. აღნიშნული კორესპონდენცია წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს.

8. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში, თუ კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათაგან გამომდინარე, ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 2. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარება

1. კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) განთავსებასა და კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებას უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

2. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის საჭირო ორგანიზაციულ და მიმდინარე საქმიანობის უზრუნველყოფას ახორციელებს სააგენტო.

3. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობები, სატენდერო წინადადების წარდგენის ვადა, აგრეთვე კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის აუცილებელი სხვა მოთხოვნები და პირობები განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

4. კონსოლიდირებული ტენდერი ტარდება სისტემის მეშვეობით და ელექტრონული ვაჭრობა იმართება სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი საბურავის ჯამურ ღირებულებაზე.

5. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესყიდვის პროცედურების საჯაროობა და გამჭვირვალობა, შესყიდვის მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული და თანასწორი მოპყრობა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 15 ივნისის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 16.06..2017 წ.

მუხლი 3. სატენდერო წინადადების წარდგენა

1. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ მომხმარებელს, რომელსაც გადახდილი აქვს კანონის 19^1 მუხლის შესაბამისად დადგენილი სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური (შემდგომში – საფასური).

2. სატენდერო წინადადების წარდგენით მიმწოდებელი ავტომატურად ეთანხმება ამ წესითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით.

მუხლი 4. გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა

1. კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადება ფასდება და გამარჯვებული პრეტენდენტი ვლინდება სატენდერო კომისიის მიერ ამ წესის, სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კონსოლიდირებული ტენდერის

თავისებურებათა გათვალისწინებით.

2. სატენდერო წინადადების შეფასებისას და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენისას დაცული უნდა იყოს ამ წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული პრინციპები.

3. სატენდერო წინადადების განხილვასა და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენაზე ვრცელდება კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული დებულებები.

4. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირებს შესყიდვის ობიექტის ყველაზე დაბალ ჯამურ ღირებულებას და, ამასთან, დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ თანაბარი უმცირესი ჯამური ღირებულების დაფიქსირების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა აღნიშნული ღირებულება.

5. კონსოლიდირებულ ტენდერში პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ან/და სხვა დოკუმენტების სატენდერო განცხადებასთან ან/და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

6. იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო კომისია მიიჩნევს, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი არ არის აღნიშნულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადება, სატენდერო კომისიას უფლება აქვს, უარი თქვას აღნიშნულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებაზე.

7. კონსოლიდირებული ტენდერიდან ელექტრონულ ვაჭრობაში გამარჯვებული პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ფასი მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის წინადადების ფასს, ასევე სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს კონსოლიდირებული ტენდერი.

მუხლი 5. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადება

1. ხელშეკრულება უნდა დაიდოს კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ პრეტენდენტთან, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევისა.

2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი საბურავების მიწოდების ვადა სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას შესაძლებელია აღემატებოდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით.

3. გამარჯვებული პრეტენდენტი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულება დადოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ნებისმიერ შემსყიდველ ორგანიზაციასთან, რომელზეც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება.

4. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელზეც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, სხვა მიმწოდებლისაგან საბურავის შესყიდვის საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთებით, მიმართავს სატენდერო კომისიას. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სხვა მიმწოდებლისგან საბურავის შესყიდვა შესაძლებელია მხოლოდ სატენდერო კომისიის თანხმობის შემთხვევაში. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საბურავის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, პრეტენდენტი კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით კისრულობს ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით, გადაიხადოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ჯამური სავარაუდო ღირებულების 10%-ის ოდენობის თანხა, იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს განაცხადებს საბურავის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე ერთ ან რამდენიმე შემსყიდველ ორგანიზაციასთან. ჯარიმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია

შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიას უფლება აქვს, იმსჯელოს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტისა და ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ან შესყიდვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობაზე. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში, იგი მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაბარზომიერების პრინციპებით.

მუხლი 6. ანგარიშსწორების პირობები

1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

2. საბურავის მიწოდების გეოგრაფიულ არეალთან, ტრანსპორტირების ხარჯებსა და მიწოდების პერიოდულობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით.

3. სატენდერო კომისია, ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით, აგრეთვე დაინტერესებული პირის მხრიდან შესაბამისი წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, უფლებამოსილია, გადახედოს მიმწოდებლის მიერ საბურავის შემოთავაზებულ ფასს და, ბაზარზე შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, განიხილოს მისაწოდებელი საბურავის ერთეულის ფასის ცვლილება. მიმწოდებელსა და სატენდერო კომისიას შორის შეთანხმების მიუღწევლობა იწვევს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტას. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიმართ სანქციის ოდენობას და გამოყენების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია. სანქციის ოდენობა და გამოყენების წესი განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეუსრულებლობა

1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

2. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბურავის ღირებულების 20%-ის ოდენობით.

3. ხელშეკრულებით განსაზღვრული საბურავის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირგასამტეხლო სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია და იმავდროულად მსჯელობს ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ან შესყიდვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობაზე. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში, იგი მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №8
2017 წლის 30 მარტი

ქ. თბილისი

ვიდეოსამეთვალყურეო კამერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 20^2 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. დამტკიცდეს თანდართული „ვიდეოსამეთვალყურეო კამერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები“.

2. ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 30 მარტიდან.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარე **ლევან რაზმაძე**

ვიდეოსამეთვალყურეო კამერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ვიდეოსამეთვალყურეო კამერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) 20^2 მუხლის საფუძველზე და განსაზღვრავს ვიდეოსამეთვალყურეო კამერების კონსოლიდირებული ტენდერის (შემდგომში – კონსოლიდირებული ტენდერი) ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, წესსა და პირობებს, ასევე კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულება) დადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. ეს წესი ვრცელდება შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის №1389 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტის „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყანა“ ფარგლებში, კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ვიდეოსამეთვალყურეო კამერების სახელმწიფო შესყიდვაზე.

3. იმ შემსყიდველი ორგანიზაციების წრე, რომელთათვისაც სავალდებულოა კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით. აღნიშნული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრების მქონე ვიდეოსამეთვალყურეო კამერის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტისაგან, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა და უცხო ქვეყანაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, თავდაცვის ატაშეს, აგრეთვე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ ვიდეოსამეთვალყურეო კამერის შესყიდვის შემთხვევებისა.

4. იმ შემსყიდველ ორგანიზაციებს, რომლებზეც სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით სავალდებულოდ არ ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრების მქონე ვიდეოსამეთვალყურეო კამერის

სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადების მიზნით შეუძლიათ მიმართონ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს სატენდერო კომისიის თანხმობის საფუძველზე. ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, მათზე სრულად გავრცელდება ამ წესითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი მოთხოვნები.

5. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში, თუ კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათაგან გამომდინარე, ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 2. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარება

1. კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) განთავსებასა და კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებისათვის კანონმდებლობით დადგენილ სხვა აუცილებელ ორგანიზაციულ და მიმდინარე საქმიანობას უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

2. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობები, სატენდერო წინადადების წარდგენის ვადა, აგრეთვე კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის აუცილებელი სხვა მოთხოვნები და პირობები განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

3. კონსოლიდირებულ ტენდერში პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ან/და სხვა დოკუმენტების სატენდერო განცხადებასთან ან/და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

4. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესყიდვის პროცედურების საჯაროობა და გამჭვირვალობა, შესყიდვის მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული და თანასწორი მოპყრობა.

5. კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისია უფლებამოსილია, კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად მნიშვნელოვნად აღემატება შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას, ან თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 15 ივნისის ბრძანება №19 - ვებგვერდი, 19.06.2017 წ.

მუხლი 3. სატენდერო წინადადების წარდგენა

1. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ მომხმარებელს, რომელსაც გადახდილი აქვს კანონის 19^1 მუხლის შესაბამისად დადგენილი სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური (შემდგომში – საფასური).

2. სატენდერო წინადადების წარდგენით მიმწოდებელი ავტომატურად ეთანხმება ამ წესითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

3. გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების მოქმედების ვადა (ტენდერის მოქმედების ვადა) განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით.

მუხლი 4. გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა

1. კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადება ფასდება და გამარჯვებული პრეტენდენტი ვლინდება სატენდერო კომისიის მიერ ამ წესის, სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

2. სატენდერო წინადადების განხილვასა და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენაზე ვრცელდება

კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული დებულებები.

3. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირებს შესყიდვის ობიექტის ყველაზე დაბალ ღირებულებას და, ამასთან, დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ თანაბარი უმცირესი ჯამური ღირებულების დაფიქსირების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა აღნიშნული ღირებულება.

მუხლი 5. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადება

1. ხელშეკრულება უნდა დაიდოს კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ პრეტენდენტთან, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევისა.

2. გამარჯვებული პრეტენდენტი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულება დადოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ნებისმიერ შემსყიდველ ორგანიზაციასთან, რომელზეც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება.

3. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელზეც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, სხვა მიმწოდებლისაგან ვიდეოსამეთვალყურეო კამერის შესყიდვის საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთებით, მიმართავს სატენდერო კომისიას. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სხვა მიმწოდებლისგან ვიდეოსამეთვალყურეო კამერის შესყიდვა შესაძლებელია მხოლოდ სატენდერო კომისიის თანხმობის შემთხვევაში. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ვიდეოსამეთვალყურეო კამერის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, პრეტენდენტი კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით კისრულობს ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით, გადაიხადოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ჯამური საწყისი სავარაუდო ღირებულების 10%-ის ოდენობის თანხა, იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს განაცხადებს ვიდეოსამეთვალყურეო კამერის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე ერთ ან რამდენიმე შემსყიდველ ორგანიზაციასთან, რომელიც მიმართავს მას აღნიშნულის თაობაზე. ჯარიმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს სატენდერო წინადადების მოქმედების (ტენდერის მოქმედების) ვადით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სატენდერო კომისიას უფლება აქვს, იმსჯელოს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტისა და ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ან შესყიდვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობაზე. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში იგი მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

მუხლი 6. ანგარიშსწორების პირობები

1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო ანგარიშსწორება განახორციელოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

2. ვიდეოსამეთვალყურეო კამერის მიწოდების გეოგრაფიულ არეალთან, ტრანსპორტირების ხარჯებსა და მიწოდების პერიოდულობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით.

3. სატენდერო კომისია, ბაზრის შესაბამისი კონიუნქტურის გათვალისწინებით, ან დაინტერესებული პირის მხრიდან წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, უფლებამოსილია, გადახედოს მიმწოდებლის მიერ უწყვეტი კვების წყაროების შემოთავაზებულ ფასს და ბაზარზე შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში განიხილოს მისაწოდებელი უწყვეტი კვების წყაროების ერთეულის ფასის ცვლილება. მიმწოდებელსა და სატენდერო კომისიას შორის შეთანხმების მიუღწევლობა იწვევს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტას. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიმართ სანქციის ოდენობას და გამოყენების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია. სანქციის ოდენობა და გამოყენების წესი განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეუსრულებლობა

1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

2. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობით.

3. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვიდეოსამეთვალყურეო კამერის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირგასამტეხლო სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სატენდერო კომისიას უფლება აქვს, იმსჯელოს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტაზე, აგრეთვე ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ან შესყიდვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობაზე. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში იგი მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №9
2017 წლის 30 მარტი

ქ. თბილისი

უწყვეტი კვების წყაროების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 20^2 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. დამტკიცდეს თანდართული „უწყვეტი კვების წყაროების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები“.

2. ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 30 მარტიდან.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარე **ლევან რაზმაძე**

უწყვეტი კვების წყაროების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. უწყვეტი კვების წყაროების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) 20^2 მუხლის საფუძველზე და განსაზღვრავს უწყვეტი კვების წყაროების კონსოლიდირებული ტენდერის (შემდგომში – კონსოლიდირებული ტენდერი) ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, წესსა და პირობებს, ასევე კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულება) დადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. ეს წესი ვრცელდება შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული უწყვეტი კვების წყაროების სახელმწიფო შესყიდვაზე.

3. იმ შემსყიდველი ორგანიზაციების წრე, რომელთათვისაც სავალდებულოა კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით. აღნიშნული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრების მქონე უწყვეტი კვების წყაროების სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტისაგან, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა და უცხო ქვეყანაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, თავდაცვის ატაშეს, აგრეთვე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ უწყვეტი კვების წყაროების შესყიდვის შემთხვევებისა.

4. იმ შემსყიდველ ორგანიზაციებს, რომლებზეც სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით სავალდებულოდ არ ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრების მქონე უწყვეტი კვების წყაროების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადების მიზნით შეუძლიათ მიმართონ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს სატენდერო კომისიის თანხმობის საფუძველზე. ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, მათზე სრულად გავრცელდება ამ წესითა და სატენდერო

დოკუმენტაციით დადგენილი მოთხოვნები.

5. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში, თუ კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათაგან გამომდინარე, ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 2. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარება

1. კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) განთავსებასა და კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებისათვის კანონმდებლობით დადგენილ სხვა აუცილებელ ორგანიზაციულ და მიმდინარე საქმიანობას უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

2. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობები, სატენდერო წინადადების წარდგენის ვადა, აგრეთვე კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის აუცილებელი სხვა მოთხოვნები და პირობები განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

3. კონსოლიდირებულ ტენდერში პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ან/და სხვა დოკუმენტების სატენდერო განცხადებასთან ან/და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

4. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესყიდვის პროცედურების საჯაროობა და გამჭვირვალობა, შესყიდვის მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული და თანასწორი მოპყრობა.

5. კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისია უფლებამოსილია, კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად მნიშვნელოვნად აღემატება შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას, ან თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 15 ივნისის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 16.06..2017 წ.

მუხლი 3. სატენდერო წინადადების წარდგენა

1. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ მომხმარებელს, რომელსაც გადახდილი აქვს კანონის 19^1 მუხლის შესაბამისად დადგენილი სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური (შემდგომში – საფასური).

2. სატენდერო წინადადების წარდგენით მიმწოდებელი ავტომატურად ეთანხმება ამ წესითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

3. გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების მოქმედების ვადა (ტენდერის მოქმედების ვადა) განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით.

მუხლი 4. გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა

1. კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადება ფასდება და გამარჯვებული პრეტენდენტი ვლინდება სატენდერო კომისიის მიერ ამ წესის, სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

2. სატენდერო წინადადების განხილვასა და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენაზე ვრცელდება კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული დებულებები.

3. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც ვაჭრობის

შედეგად დააფიქსირებს შესყიდვის ობიექტის ყველაზე დაბალ ღირებულებას და, ამასთან, დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ თანაბარი უმცირესი ჯამური ღირებულების დაფიქსირების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა აღნიშნული ღირებულება.

მუხლი 5. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადება

1. ხელშეკრულება უნდა დაიდოს კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ პრეტენდენტთან, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევისა.

2. გამარჯვებული პრეტენდენტი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულება დადოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ნებისმიერ შემსყიდველ ორგანიზაციასთან, რომელზეც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება.

3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი უწყვეტი კვების წყაროების მიწოდების ვადა სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას შესაძლებელია აღემატებოდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით.

4. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელზეც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, სხვა მიმწოდებლისაგან უწყვეტი კვების წყაროების შესყიდვის საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთებით, მიმართავს სატენდერო კომისიას. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სხვა მიმწოდებლისგან უწყვეტი კვების წყაროების შესყიდვა შესაძლებელია მხოლოდ სატენდერო კომისიის თანხმობის შემთხვევაში. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უწყვეტი კვების წყაროების სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, პრეტენდენტი კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით კისრულობს ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით, გადაიხადოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ჯამური საწყისი სავარაუდო ღირებულების 10%-ის ოდენობის თანხა, იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს განაცხადებს უწყვეტი კვების წყაროების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე ერთ ან რამდენიმე შემსყიდველ ორგანიზაციასთან, რომელიც მიმართავს მას აღნიშნულის თაობაზე. ჯარიმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს სატენდერო წინადადების მოქმედების (ტენდერის მოქმედების) ვადით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიას უფლება აქვს, იმსჯელოს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტისა და ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ან შესყიდვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობაზე. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში, იგი მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

მუხლი 6. ანგარიშსწორების პირობები

1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო ანგარიშსწორება განახორციელოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

2. უწყვეტი კვების წყაროების მიწოდების გეოგრაფიულ არეალთან, ტრანსპორტირების ხარჯებსა და მიწოდების პერიოდულობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით.

3. სატენდერო კომისია, ბაზრის შესაბამისი კონიუნქტურის გათვალისწინებით, ან დაინტერესებული პირის მხრიდან წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, უფლებამოსილია, გადახედოს მიმწოდებლის მიერ უწყვეტი კვების წყაროების შემოთავაზებულ ფასს და ბაზარზე შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, განიხილოს მისაწოდებელი უწყვეტი კვების წყაროების ერთეულის ფასის ცვლილება. მიმწოდებელსა და სატენდერო კომისიას შორის შეთანხმების მიუღწევლობა იწვევს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტას. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიმართ სანქციის ოდენობას და გამოყენების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია. სანქციის ოდენობა და გამოყენების წესი განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეუსრულებლობა

1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

2. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) უწყვეტი კვების წყაროების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობით.

3. ხელშეკრულებით განსაზღვრული უწყვეტი კვების წყაროების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირგასამტეხლო სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიას უფლება აქვს, იმსჯელოს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტაზე, აგრეთვე ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ან შესყიდვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობაზე. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში, იგი მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №10

2017 წლის 11 აპრილი

ქ. თბილისი

სხვადასხვა სახის პრინტერებისა და კარტრიჯების კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 20^2 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. დამტკიცდეს თანდართული „სხვადასხვა სახის პრინტერებისა და კარტრიჯების კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების წესი და პირობები“.

2. ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 11 აპრილიდან.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარე **ლევან რაზმაძე**

სხვადასხვა სახის პრინტერებისა და კარტრიჯების კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სხვადასხვა სახის პრინტერებისა და კარტრიჯების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) 20^2 მუხლის საფუძველზე და განსაზღვრავს სხვადასხვა სახის პრინტერებისა და არანაკლებ მათი საგარანტიო ვადის ამოწურვამდე საჭირო კარტრიჯების (შემდგომში – პრინტერები და კარტრიჯები) კონსოლიდირებული ტენდერის (შემდგომში – კონსოლიდირებული ტენდერი) ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, წესსა და პირობებს, ასევე კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულება) დადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. ეს წესი ვრცელდება შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პრინტერებისა და კარტრიჯების სახელმწიფო შესყიდვაზე.

3. იმ შემსყიდველი ორგანიზაციების წრე, რომელთათვისაც სავალდებულოა კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით. აღნიშნული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრების მქონე პრინტერებისა და კარტრიჯების სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტისაგან, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა და უცხო ქვეყანაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, თავდაცვის ატაშეს, აგრეთვე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ პრინტერებისა და კარტრიჯების შესყიდვის შემთხვევებისა.

4. იმ შემსყიდველ ორგანიზაციებს, რომლებზეც სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით

სავალდებულოდ არ ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრების მქონე პრინტერებისა და კარტრიჯების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადების მიზნით შეუძლიათ მიმართონ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს სატენდერო კომისიის თანხმობის საფუძველზე. ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, მათზე სრულად გავრცელდება ამ წესითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი მოთხოვნები.

5. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში, თუ კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათაგან გამომდინარე, ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 2. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარება

1. კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) განთავსებასა და კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებისათვის კანონმდებლობით დადგენილ სხვა აუცილებელ ორგანიზაციულ და მიმდინარე საქმიანობას უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

2. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობები, სატენდერო წინადადების წარდგენის ვადა, აგრეთვე კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის აუცილებელი სხვა მოთხოვნები და პირობები განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

3. კონსოლიდირებულ ტენდერში პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ან/და სხვა დოკუმენტების სატენდერო განცხადებასთან ან/და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

4. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესყიდვის პროცედურების საჯაროობა და გამჭვირვალობა, შესყიდვის მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული და თანასწორი მოპყრობა.

5. კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისია უფლებამოსილია, კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ჯამური ღირებულების წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ჯამური ღირებულება ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად მნიშვნელოვნად აღემატება შესყიდვის ობიექტის ჯამურ საბაზრო ღირებულებას, ან თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 15 ივნისის ბრძანება №17 - ვებგვერდი, 16.06..2017 წ.

მუხლი 3. სატენდერო წინადადების წარდგენა

1. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ მომხმარებელს, რომელსაც გადახდილი აქვს კანონის 19^1 მუხლის შესაბამისად დადგენილი სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური (შემდგომში – საფასური).

2. სატენდერო წინადადების წარდგენით მიმწოდებელი ავტომატურად ეთანხმება ამ წესითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

3. გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების მოქმედების ვადა (ტენდერის მოქმედების ვადა) განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით.

მუხლი 4. გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა

1. კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადება ფასდება და გამარჯვებული პრეტენდენტი ვლინდება სატენდერო კომისიის მიერ ამ წესის, სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა

გათვალისწინებით.

2. სატენდერო წინადადების განხილვასა და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენაზე ვრცელდება კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული დებულებები.

3. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირებს შესყიდვის ობიექტის ყველაზე დაბალ ჯამურ ღირებულებას და, ამასთან, დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ თანაბარი უმცირესი ჯამური ღირებულების დაფიქსირების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა აღნიშნული ღირებულება.

მუხლი 5. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადება

1. ხელშეკრულება უნდა დაიდოს კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ პრეტენდენტთან, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევისა.

2. გამარჯვებული პრეტენდენტი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულება დადოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ნებისმიერ შემსყიდველ ორგანიზაციასთან, რომელზეც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება.

3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი პრინტერებისა და კარტრიჯების მიწოდების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

4. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელზეც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, სხვა მიმწოდებლისაგან პრინტერებისა და კარტრიჯების შესყიდვის საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთებით, მიმართავს სატენდერო კომისიას. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სხვა მიმწოდებლისგან პრინტერებისა და კარტრიჯების შესყიდვა შესაძლებელია მხოლოდ სატენდერო კომისიის თანხმობის შემთხვევაში. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პრინტერებისა და კარტრიჯების სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, პრეტენდენტი კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით კისრულობს ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით, გადაიხადოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის საწყისი ჯამური სავარაუდო ღირებულების 5%-ის ოდენობის თანხა, იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს განაცხადებს პრინტერებისა და კარტრიჯების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე ერთ ან რამდენიმე შემსყიდველ ორგანიზაციასთან, რომელიც მიმართავს მას აღნიშნულის თაობაზე. ჯარიმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს სატენდერო წინადადების (ტენდერის მოქმედების) ვადით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიას უფლება აქვს, იმსჯელოს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტისა და ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ან შესყიდვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობაზე. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში, იგი მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

მუხლი 6. ანგარიშსწორების პირობები

1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო ანგარიშსწორება განახორციელოს მიღება-ჩაბარების აქტის

გაფორმებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

2. პრინტერებისა და კარტრიჯების მიწოდების გეოგრაფიულ არეალთან, ტრანსპორტირების ხარჯებსა და მიწოდების პერიოდულობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეუსრულებლობა

1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

2. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) პრინტერებისა და კარტრიჯების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობით.

3. ხელშეკრულებით განსაზღვრული პრინტერებისა და კარტრიჯების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირგასამტეხლო სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიას უფლება აქვს, იმსჯელოს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტაზე, აგრეთვე ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ან შესყიდვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობაზე. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში, იგი მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №32
2017 წლის 12 ივლისი

ქ. თბილისი

სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) შესყიდვის მიზნით კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 20^2 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული „სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) შესყიდვის მიზნით კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები.“.

2. ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 13 ივლისს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი **ზაზა ნანობაშვილი**

სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) შესყიდვის მიზნით კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) შესყიდვის მიზნით კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) 20^2 მუხლის საფუძველზე და განსაზღვრავს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 66^1 მუხლის მე-2 პუნქტით ნებადართული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) კონსოლიდირებული ტენდერის (შემდგომში – კონსოლიდირებული ტენდერი) ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, წესსა და პირობებს, ასევე კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულება) დადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. ეს წესი ვრცელდება შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) სახელმწიფო შესყიდვაზე.

3. იმ შემსყიდველი ორგანიზაციების წრე, რომელთათვისაც სავალდებულოა კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით. აღნიშნული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტ(ებ)ისაგან, გარდა უცხო ქვეყანაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, თავდაცვის ატაშეს, აგრეთვე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) შესყიდვის შემთხვევებისა.

4. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში, თუ კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათაგან გამომდინარე, ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 2. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარება

1. კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) განთავსებასა და კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის კანონმდებლობით დადგენილ სხვა აუცილებელ ორგანიზაციულ და მიმდინარე საქმიანობას უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

2. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობები, სატენდერო წინადადების წარდგენის ვადა, აგრეთვე კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის აუცილებელი სხვა მოთხოვნები და პირობები განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

3. კონსოლიდირებულ ტენდერში პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ან/და სხვა დოკუმენტების სატენდერო განცხადებასთან ან/და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

4. სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს.

5. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესყიდვის პროცედურების საჯაროობა და გამჭვირვალობა, შესყიდვის მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული და თანასწორი მოპყრობა.

6. კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისია უფლებამოსილია, კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტ(ებ)ის გამოვლენამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

მუხლი 3. სატენდერო წინადადების წარდგენა

1. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ მომხმარებელს, რომელსაც გადახდილი აქვს კანონის 19^1 მუხლის შესაბამისად დადგენილი სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური (შემდგომში – საფასური).

2. სატენდერო წინადადების წარდგენით მიმწოდებელი ავტომატურად ეთანხმება ამ წესითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ პირობებსა და ტარიფს.

3. გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების მოქმედების ვადა (ტენდერის მოქმედების ვადა) განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით.

მუხლი 4. გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა

1. კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადება ფასდება და გამარჯვებული პრეტენდენტი ვლინდება სატენდერო კომისიის მიერ ამ წესის, სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

2. სატენდერო წინადადების განხილვასა და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენაზე ვრცელდება კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული დებულებები.

3. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ის პრეტენდენტ(ებ)ი, რომელიც დაეთანხმება სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ფასს და ამასთან, დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილ პირობებს.

4. კონსოლიდირებულ ტენდერში შესაძლებელია ერთზე მეტი გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა.

მუხლი 5. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადება

1. ხელშეკრულება უნდა დაიდოს კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ პრეტენდენტ(ებ)თან, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევისა.

2. გამარჯვებული პრეტენდენტი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულება დადოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ნებისმიერ შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

3. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელზეც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, არაგამარჯვებული მიმწოდებლისაგან სატელევიზიო საეთერო დროის შესყიდვის საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთებით, მიმართავს სატენდერო კომისიას. სატენდერო კომისიის თანხმობის შემთხვევაში, შესყიდვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, პრეტენდენტი კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით კისრულობს ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით, გადაიხადოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული თანხა, იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს განაცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე ერთ ან რამდენიმე შემსყიდველ ორგანიზაციასთან, რომელიც მიმართავს მას აღნიშნულის თაობაზე. ჯარიმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს სატენდერო წინადადების მოქმედების (ტენდერის მოქმედების) ვადით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სატენდერო კომისიას უფლება აქვს, იმსჯელოს ტენდერის მთლიანად ან მისი ნაწილობრივ, კონკრეტულ მიმწოდებელთან მიმართებით შეწყვეტის თაობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

მუხლი 6. ანგარიშსწორების პირობები

მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშსწორების ვადები განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეუსრულებლობა

1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული საჯარიმო თანხის გადახდა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სატენდერო კომისიას უფლება აქვს, იმსჯელოს ტენდერის მთლიანად ან მისი ნაწილობრივ, კონკრეტულ მიმწოდებელთან მიმართებით შეწყვეტის თაობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების

პრინციპებით.